

ფინანსური ცნობიერების კვლევა საქართველოში

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის
პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი



შესავალი

შესავალი	3
საკუთარი ფინანსების მართვა	4
ნდობა.....	14
ფინანსური ცოდნა.....	16
ფინანსური ცოდნის მაჩვენებელი	23
დანართი - 1	26
დანართი - 2.....	27


შესავალი

გამოკითხულ რესპოდენტთა რაოდენობა შეადგენს 1000 ერთეულს. კითხვარი დაყოფილია სამ ნაწილად (დანახარჯების მიმართ დამოკიდებულება/საკუთარი ფინანსების მართვა, ბანკისადმი ნდობა და ფინანსური ცოდნა), იმისათვის რომ გავაანალიზოთ რესპოდენტების ფინანსური ცოდნა და მათი დამოკიდებულება ფინანსური სახსრების მიმართ.

რესპოდენტთა საშუალო ასაკი არის 38,3 წელი, მინიმუმია 18 წელი ხოლო მაქსიმუმი 65. საშუალოდ ერთ რესპოდენტზე ერთი 15 წლამდე ბავშვი მოდის ოჯახში. 15 წლამდე ბავშვების მინიმალური რაოდენობა არის ნული და მაქსიმალური - 7. ასევე საშუალოდ 15 წელს ზევით ადამიანების რაოდენობა ერთ რესპოდენტზე არის 3 ერთეული. მათი მინიმალური რაოდენობა არის ნული და მაქსიმალური 8.


კვლევაში მონაწილეთა 55% ქალია, 65% თბილისის მოქალაქეა, 63,9%-ს აქვს უმაღლესი განათლება, 49% დაქირავებული მუშაკია და 28%-ის ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი მერყეობს 501-1000 ლარიან ინტერვალში (უფრო დეტალური ინფორმაციის სანახავად იხილეთ *დანართი - 1*).

საკუთარი ფინანსების მართვა



ფიგურა 1 - დამოკიდებულება საკუთარი დანახარჯების მიმართ


კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რესპოდენტთა უმეტესობა (დაახლოებით 44%) საკმაოდ დეტალურად აკონტროლებს საკუთარ დანახარჯებს ჩანაწერების გაკეთების გარეშე. ასევე კვლევაში მონაწილეთა დაახლოებით 33% (ანუ 332 რესპოდენტი) ნაწილობრივ აკონტროლებს, ხოლო 13% (136 რესპოდენტი) საერთოდ არ ანგარიშობს საკუთარ დანახარჯებს. აღსანიშნავია ისიც, რომ 0,1% - მა არ იცის რა დამოკიდებულება აქვს საკუთარ დანახარჯებთან.



ფიგურა 2 - საკუთარი ფინანსების მართვა

იმის გასაგებად თუ როგორ აკონტროლებენ რესპოდენტები საკუთარ დანახარჯებს მათ უნდა შეეფასებინათ თუ რამდენად ეთანხმებოდნენ ფიგურა-2 ში აღწერილ დებულებებს. ადვილი შესამჩნევია, რომ რესპოდენტები ყველა ჩამოთვლილ დებულებას საშუალოდ სრულიად ეთანხმება. ფიგურა-2 - დან გამომდინარე რესპოდენტების უმეტესობა გადასახადებს თავის დროზე იხდის და ამავდროულად რაიმეს შექმნის დროს გულდასმით ფიქრობს თუ რამდენად შეუძლიათ გაწვდნენ შენაძენს. ასევე საყურადღებოა დამოკიდებულება მეოთხე დებულების მიმართ - „უფრო ხშირად ვხარჯავ მთელ თანხას, რაც მაქვს, ვიდრე ვზოგავ სამომავლო მიზნებისათვის“. რესპოდენტების დაახლოებით 39% სრულიად ეთანხმება და 32% სრულიად არ ეთანხმება აღნიშნულ დებულებას, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია კვლევაში მონაწილე ოჯახების საშუალო ყოველთვიური შემოსავლის განაწილებით.


ოჯახების საშუალო ყოველთვიური შემოსავლების განაწილების მიხედვით, მათი უმეტესობა (დაახლოებით 68 %) საშუალოდ ყოველთვიურად ღებულობს 1500 ლარზე ნაკლები ოდენობის შემოსავალს, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს სამომავლო მიზნებისთვის თანხის დაზოგვაზე.



ფიგურა 3- როგორ ზრუნავენ რესპოდენტები საკუთარ სიბერეზე


გამოკითხულთა უმეტესობა, დაახლოებით 28%, პენსიაში გასვლის შემდეგ აპირებს მუშაობას, 20% აპირებს ინვესტიციის განხორციელებას რომელიც უზრუნველყოფს მათ შემოსავალს, 16% დამოკიდებულია ან აპირებს დამოკიდებული იყოს ფიქსირებულ სახელმწიფო პენსიაზე და მხოლოდ 14% ზოგავს ან აპირებს დაზოგოს თანხა ბანკში. (რესპოდენტთა 23% -პროცენტი მოხვდა „სხვა“ კატეგორიაში, რომელშიც ერთი რესპოდენტი აპირებს სოფელში წასვლას, ერთი

რესპოდენტი აპირებს საზღვარგარეთ წასვლას და დანარჩენმა 222 მა რესპოდენტმა არ იცის ან უჭირს პასუხის გაცემა თუ როგორ აპირებს საკუთარ სიბერეზე ზრუნვას).



ფიგურა 4 - დაზოგა თუ არა ოჯახმა ბოლო 12 თვის განმავლობაში

ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში რესპოდენტთა 35%-მა შეძლო თანხის დაზოგვა და მათმა უმეტესობამ, დაახლოებით 44%-მა, თანხა შეინახა ნაღდი ფულის სახით, 30%-მა თანხა შეინახა ანაბარზე და 16%-მა შევიდინა უძრავი ქონება ან სხვა ღირებული ნივთი (მხოლოდ 8% მოხვდა „სხვა“ კატეგორიაში, სადაც ერთ რესპოდენტს თანხა აქვს ჩადებული ბიზნესში, ერთმა რესპოდენტმა უარი განაცხადა პასუხზე და დანარჩენმა 28 რესპოდენტმა არ იცის ან უჭირს პასუხის გაცემა თუ რა ფორმით დაზოგა ოჯახმა ფული ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში, ფიგურა - 6).



ფიგურა 5 - რა ფორმით დაზოგა ოჯახმა თანხა

როგორ ზრუნავთ ან აპირებთ ზრუნვას საკუთარ სიბერეზე

	პენსიაზე დამოკიდებული	ნათესავებზე დამოკიდებული	უმრავლეს შემთხვევაში გაქირავება	ვზოგავ ან დავზოგავ ბანკში	პენსიაში ვაპირებ მუშაობას	სხვა	არ ვიცი
ასაკი							
18-33	7%	5%	22%	17%	23%	0%	26%
34-49	14%	12%	19%	9%	27%	0%	18%
50-65	28%	19%	9%	6%	26%	0%	12%
სქესი							
კაცი	10%	8%	23%	12%	25%	0%	21%
ქალი	18%	13%	13%	13%	25%	0%	19%
განათლების დონე							
დაწყებითი განათლება	0%	0%	0%	33%	33%	0%	33%
პროფესიული განათლება	22%	17%	11%	10%	29%	0%	11%
საშუალო განათლება	15%	13%	16%	14%	27%	0%	16%
უმადლესი განათლება	14%	9%	20%	12%	24%	0%	20%
ფორმალური განათლების გარეშე	0%	0%	0%	100%	0%	0%	0%
უარი პასუხზე	29%	14%	14%	0%	29%	0%	14%
რეგიონები							
აღმოსავლეთი	16%	11%	17%	13%	25%	0%	19%
დასავლეთი	14%	10%	19%	11%	24%	0%	21%
თბილისი/სხვა ქალაქები							
თბილისი	15%	11%	18%	13%	24%	0%	18%
სხვა ქალაქები	13%	10%	17%	11%	26%	1%	23%
სამუშაო სტატუსი							
საკუთარი ბიზნესი	7%	10%	30%	12%	22%	0%	19%
დაქირავებული მუშაკი	13%	8%	17%	13%	30%	0%	18%
თვითდასაქმებული	17%	10%	19%	14%	22%	0%	18%
უმუშევარი	20%	15%	12%	11%	20%	0%	22%
ოჯახის შემოსავალი							
0-500	27%	15%	7%	8%	23%	0%	20%
501-1000	12%	12%	15%	12%	26%	0%	22%
1001-1500	17%	10%	22%	12%	26%	0%	14%
1501-2000	8%	8%	24%	15%	28%	0%	16%
2001-3000	5%	5%	29%	24%	24%	0%	14%
3001-ზე მეტი	7%	10%	35%	17%	13%	0%	18%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	6%	6%	16%	7%	30%	0%	35%

ფიგურა 6 - როგორ ზრუნავენ ოჯახები საკუთარ სიბერეზე - გვარედინი მონაცემები საკონტროლო ცვლადების მიხედვით

ჯვარედინ მონაცემებზე დაყრდნობით, რესპოდენტების მიერ საკუთარ სიბერეზე ზრუნვა განსხვავდება საკონტროლო ცვლადების მიხედვით. 18-33 წლის ასაკობრივ ჯგუფში უმეტესობამ, 28%-მა, არ იცის თუ როგორ იზრუნოს სიბერეზე, 23% ფიქრობს რომ პენსიაში გასვლის შემდეგ იმუშავებს, 22% ფიქრობს რომ განახორციელებს ისეთ ინვესტიციას, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში შემოსავლებს და დაახლოებით 17% ზოგავს ან აპირებს ფინანსური სახსრების ბანკში დაზოგვას. 34-49 ასაკობრივი კატეგორია მცირედით განსხვავდება წინა კატეგორიისაგან. მათი უმეტესობა დაახლოებით 27% ფიქრობს რომ პენსიაში გასვლის შემდეგ იმუშავებს, 19% ფიქრობს რომ ინვესტიციას განახორციელებს და 9% ფიქრობს რომ ბანკში დაზოგავს ფინანსურ სახსრებს. რაც შეეხება 50-65 ასაკობრივ კატეგორიას, მათი უმეტესობა (28%) ფიქრობს რომ დამოკიდებული იქნება ფიქსირებულ პენსიაზე, 26% ფიქრობს რომ პენსიაში გასვლისას იმუშავებს, 19% ფიქრობს რომ დამოკიდებული იქნება ნათესავებზე და მხოლოდ 6% ზოგავს ან დაზოგავს ფულს ბანკში.


რესპოდენტების სქესის მიხედვით დაყოფამ გვაჩვენა რომ ქალებისა და კაცების 25% პენსიაში გასვლის შემდეგ აპირებს მუშაობის გაგრძელებას საკუთარი სიბერის უზრუნველსაყოფად. კაცების 21% - მა და ქალების 19% - მა არ იცის თუ როგორ იზრუნებს საკუთარ სიბერეზე. ამავდროულად ქალების 18% ფიქრობს რომ დამოკიდებული იქნება ფიქსირებულ სამთავრობო პენსიაზე, მაშინ როცა კაცებისთვის შესაბამისი მაჩვენებელი 10%- ს შეადგენს. კაცების 23% და ქალების 13% აპირებს ინვესტიციის განხორციელებას რომელიც უზრუნველყოფს სამომავლო შემოსავლებს და ამავდროულად კაცების მხოლოდ 12% და ქალების 13% ზოგავს ან დაზოგავს ბანკში საკუთარ სახსრებს სიბერის უზრუნველსაყოფად.

განათლების დონის განაწილების მიხედვით დაწყებითი განათლების მქონე რესპოდენტთა 33%- ზოგავს, 33% აპირებს პენსიაში გასვლის შემდეგ მუშაობას და დანარჩენმა არ იცის თუ როგორ უზრუნველყოფს საკუთარ სიბერეს (გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ დაწყებითი განათლების მქონეთა რაოდენობა არის სამი ერთეული). პროფესიული განათლების მქონეთა 29%, საშუალო განათების მქონეთა 27%, უმაღლესი განათლების წარმომადგენელთა 24% და განათლების სტატუსის დაუსახელებელ რესპოდენტთა 29% ფიქრობს რომ პენსიაში გასვლის შემდეგ იმუშავებს. უმაღლესი განათლების სტატუსის მქონეთა 20% ფიქრობს რომ განახორციელებს ინვესტიციებს და ასევე მათმა 20%-მა არ იცის თუ როგორ უზრუნველყოფს საკუთარ სიბერეს მომავალში. ფორმალური განათლების გარეშე რესპოდენტების მიხედვით 100% ზოგავს ან აპირებს დაზოგოს ფინანსური სახსრები ბანკში (მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი რომ აღნიშნული დაკვირვების რაოდენობა შეადგენს ერთ რესპოდენტს).

მონაცემები ასევე განაწილებულია რეგიონებისა და ქალაქების მიხედვით. აღსანიშნავია ის რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის და ამავდროულად თბილისისა და სხვა ქალაქების პროცენტული განაწილება ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება (აღსანიშნავია რომ აღმოსავლეთ საქართველოში იგულისხმება თბილისი, რუსთავი და გორი და დასავლეთ საქართველოში იგულისხმება ზუგდიდი, ბათუმი, ფოთი და ქუთაისი). აღმოსავლეთ საქართველოს 25% და დასავლეთ საქართველოს 24% აპირებს პენსიაზე გასვლის შემდეგ მუშაობას (მცირე განსხვავებას გვიჩვენებს თბილისისა და სხვა ქალაქების იმავე მონაცემების შედარება). ასევე, თბილისის და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლე რესპოდენტების მხოლოდ 13% ზოგავს ან აპირებს დაზოგვას ბანკში (იგივე მონაცემი სხვა ქალაქებისა და დასავლეთ საქართველოსათვის შეადგენს 11%-ს).

დასაქმების სტატუსის მიხედვით, რესპოდენტები რომლებიც ფლობენ საკუთარ ბიზნესს მათი 30% ფიქრობს რომ განახორციელებს ინვესტიციას რომელიც უზრუნველყოფს მომავალ შემოსავლებს, დაქირავებული მუშაკების 30% ფიქრობს რომ პენსიაში გასვლის შემდეგ იმუშავენ, თვითდასაქმებულების 22% ფიქრობს იმავეს რასაც დაქირავებული მუშაკები და უმუშევრების 20% ფიქრობს რომ იქნება პენსიაზე დამოკიდებული და 20% პენსიაში გასვლის შემდეგ მუშაობას გეგმავს. აღსანიშნავია ისიც რომ, უმუშევრების 22%-მა, საკუთარი ბიზნესის მქონეთა 19%-მა, დაქირავებულ მუშაკთა 18%-მა და თვითდასაქმებულთა 18%-მა არ იცის თუ როგორ უზრუნველყოს საკუთარი სიბერე. დასაქმების სტატუსის თითოეული კატეგორიისათვის საშუალოდ 12% პროცენტი ზოგავს ან აპირებს რომ დაზოგოს ფინანსური სახსრები ბანკში.

შემოსავლების მონაცემების მიხედვით, რესპოდენტები რომელთა შემოსავალი მიეკუთვნება 0-500 ინტერვალს მათი 27% აპირებს დამოკიდებული იყოს სახელწიფოს ფიქსირებულ პენსიაზე. ასევე ოჯახის საშუალო შემოსავლის ზრდასთან ერთად აღნიშნულ იმონაცემი კლებულობს და იმ რესპოდენტისათვის რომლის ოჯახის საშუალო შემოსავალი აღემატება 3000 ლარს მათი 6% ფიქრობს რომ დამოკიდებულ იქნება პენსიაზე. საპირისპირო მიმართულებით ხასიათდება იმ რესპოდენტთა განაწილება რომლებმაც არ იციან თუ როგორ უზრუნველყონ საკუთარი სიბერე. იმ ოჯახების 20%-მა რომელთა შემოსავალი მერყეობს 0-500 ინტერვალში არ იცის თუ როგორ მოიქცეს მომავალში (იგივე მაჩვენებელი 3000 ლარზე მეტი შემოსავლის ოჯახებისათვის წარმოადგენს 18%-ს). ამავდროულად რაც უფრო იზრდება ოჯახის საშუალო შემოსავალი მით უფრო მატულობს მათ მიერ ფულის დაზოგვისა და დანაზოგის ბანკში განთავსებისაკენ მიდრეკილება (0-500 ინტერვალისათვის მათი მხოლოდ 8% აპირებს ფულის დაზოგვას, ხოლო 3000 ზე მეტი შემოსავლის მქონე რესპოდენტების 35% ზოგავს ან აპირებს დანაზოგის ბანკში გაკეთებას).



ფიგურა 7 - დასჭირდა თუ არა ოჯახს თანხის სესხება ბოლო ერი თვის განმავლობაში

ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოკითხულთა დაახლოებით 56%-ს დასჭირდა თანხის სესხება ბოლო 12 თვის განმავლობაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფულის მსესხებელი რესპოდენტების 66%-მა არ იცის ან უჭირს გაიხსენოს თუ რა მიზნით ისესხა ფული. ასევე აღნიშნული 569 რესპოდენტისაგან 16%-მა ფული ისესხა სხვა ფინანსური ინსტიტუსგან და 11%-მა ფული უპროცენტოდ ისესხა ნათესავისაგან, მეგობრისგან ან ნაცნობისაგან.

დაზოგა თუ არა ოჯახმა რაიმე

თანხა ბოლო 12 თვის განმავლობაში


დასჭირდა თუ არა ოჯახს თანხის სესხება რაიმე ფორმით ბოლო 12 თვის განმავლობაში

დიახ
არა

დიახ	არა
30%	70%
42%	58%

ფიგურა 8 - დაზოგვა - სესხების ჯვარედინი მონაცემები

მათგან ვინც ბოლო 12 თვის განმავლობაში ისესხა ფული (431 რესპოდენტი) 70%-მა არ დაზოგა თანხა (ბოლო 12 თვის განმავლობაში) და მათგან ვინც არ ისესხა ფული ბოლო 12 თვის განმავლობაში (569 რესპოდენტი) 42%-მა შეძლო თანხის დაზოგვა (ბოლო 12 თვის განმავლობაში).



ფიგურა 9 - რესპოდენტების მიერ დამატებით მიღებული 1000 ლარის განაწილება სხვადასხვა მიზნების მიხედვით

რესპოდენტების დაახლოებით 34% მუდმივ შემოსავალთან ერთად დამატებით მიღებულ 1000 ლარს დახარჯავდა მოხმარებაზე და/ან საოჯახო საქონელზე (საკვები, ტანსაცმელი, საოჯახო

ტექნიკა, ავეჯი და ა.შ.). კატეგორია სხვა/არ ვიცი - მიჭირს პასუხი (გამოკითხულთა 20%) მოიცავს რესპოდენტებს, რომლებმაც არ იციან თუ რაში დახარჯონ აღნიშნულ თანხა და რესპოდენტებს, რომლებიც დახარჯავდნენ ქველმოქმედებისათვის, მანქანის გასარემონტებლად, ბინის რემონტზე, მოგზაურობაზე, გართობაში, კომუნალური გადასახადების ნაადრევად გადახდაში, დოლარის შეძენაში, მშობიარობისათვის და მიწის ნაკვეთის შესაძენაზე.

ასევე კვლევაში მონაწილეთა დაახლოებით 19% აღნიშნულ თანხას გამოიყენებდა დაგროვილი ვალების გადასახდელად, 6,7% საკუთარი ოჯახის წევრების სამკურნალოდ, 6,2% საკუთარი ოჯახის წევრების განათლებისა და პროფესიულ ზრდისათვის და 4,9% სახლში შესანახად დღესასწაულებისა და შავი დღისათვის.

რაში დახარჯავს ოჯახი დამატებით მიღებულ 1000 ლარს

	საოჯახო მოხმარება	სახლში შენახვა	ვალუბის გადახდა	საკუთარ ბიზნესში ინვესტიცია	განათლება/პროფესიული ზრდა	მკურნალობა	ძვირფასეულობა	ანაბარზე განთავსება	სხვა	არ ვიცი
ასაკო										
18-33	37%	5%	18%	1%	6%	4%	3%	5%	5%	15%
34-49	33%	4%	19%	3%	6%	8%	2%	3%	5%	17%
50-65	29%	6%	21%	4%	6%	10%	1%	3%	7%	13%
სქესი										
კაცი	34%	4%	16%	4%	5%	5%	2%	4%	6%	19%
ქალი	34%	5%	22%	1%	7%	8%	2%	4%	4%	13%
განათლების დონე										
დაწყებითი განათლება	0%	0%	0%	0%	0%	33%	0%	0%	0%	67%
პროფესიული განათლება	32%	3%	31%	3%	5%	11%	1%	0%	6%	9%
საშუალო განათლება	38%	5%	19%	3%	4%	6%	2%	4%	4%	13%
უმაღლესი განათლება	33%	5%	18%	3%	7%	6%	2%	5%	5%	17%
ფორმალური განათლების გარეშე	100%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
უარი პასუხზე	17%	0%	0%	0%	17%	17%	17%	0%	0%	33%
რეგიონები										
აღმოსავლეთი	33%	5%	20%	2%	6%	6%	3%	4%	5%	16%
დასავლეთი	35%	5%	17%	3%	6%	10%	1%	4%	4%	15%
თბილისი/სხვა ქალაქები										
თბილისი	33%	5%	20%	2%	6%	5%	2%	4%	6%	16%
სხვა ქალაქები	36%	4%	17%	3%	6%	10%	2%	4%	3%	14%
სამუშაო სტატუსი										
საკუთარი ბიზნესი	34%	3%	8%	10%	4%	4%	1%	6%	6%	24%
დაქირავებული მუშაკი	34%	5%	21%	1%	5%	6%	2%	3%	6%	16%
თვითდასაქმებული	39%	4%	21%	1%	10%	6%	1%	5%	6%	7%
უმუშევარი	32%	6%	20%	1%	8%	9%	3%	3%	4%	13%
ოჯახის შემოსავალი										
0-500	35%	5%	21%	1%	7%	13%	1%	2%	3%	10%
501-1000	37%	5%	22%	2%	5%	7%	2%	3%	6%	11%
1001-1500	30%	6%	22%	5%	6%	3%	3%	3%	5%	17%
1501-2000	31%	5%	16%	3%	11%	4%	2%	5%	5%	18%
2001-3000	43%	5%	12%	3%	0%	3%	0%	4%	11%	19%
3001-ზე მეტი	26%	0%	7%	2%	7%	2%	4%	7%	2%	43%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	28%	1%	14%	4%	5%	5%	4%	10%	8%	22%


ფიგურა 10 - რაში დახარჯავს ოჯახი დამატებით მიღებულ 1000 ლარს - გვარედინი მონაცემები საკონტროლო ცვლადების მიხედვით

ჯვარედინი მონაცემებიდან საშუალოდ ყველა საკონტროლო ცვლადის მიხედვით რესპოდენტების დაახლოებით 32% დამატებით მიღებულ 1000 ლარს დახარჯავდა მოხმარებაზე და/ან საოჯახო საქონელზე (საკვები, ტანსაცმელი, საოჯახო ტექნიკა, ავეჯი და ა.შ.). დაწყებითი განათლების მქონე რესპოდენტების 67%-მა არ იცის თუ რაში დახარჯავს დამატებით 1000 ლარს და ფორმალური განათლების გარეშე რესპოდენტების 100% მოცემულ თანხას გამოიყენებს საოჯახო მოხმარებაზე (თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს ყურადღებიდან რომ დაწყებითი განათლების მქონეთა რაოდენობაა - 3 ერთეული და ფორმალური განათლების გარეშე რესპოდენტთა რაოდენობაა - 1 ერთეული).

ქალების 22% და კაცების 16% ფიქრობს რომ აღნიშნული თანხით გადაიხდიდა დაგროვილ ვალებს. ასევე ფიგურა-8 დან გამომდინარე ადვილი შესამჩნევია რომ 0-1500 შემოსავლის ინტერვალში მყოფი რესპოდენტების დაახლოებით 33% ფიქრობს რომ დამატებითი 1000 ლარით გადაიხდიდა ვალებს, მაშინ როცა 1500 ლარიდან ზემოთ შემოსავლის მქონე რესპოდენტებისათვის ვალის გადახდა ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება (3000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე რესპოდენტების მხოლოდ 7% ფიქრობს რომ აღნიშნული თანხით გადაიხდის ვალებს).

აღსანიშნავია ის რომ, რესპოდენტების 43%-მა რომელთა შემოსავალი 3000 ლარზე მეტია არ იცის თუ რაში დახარჯავს დამატებით მიღებულ 1000 ლარს. ასევე ჯვარედინი მონაცემების მიხედვით თითოეული საკონტროლო ცვლადისათვის საშუალოდ რესპოდენტთა დაახლოებით 4% ამბობს რომ განათავსებს აღნიშნულ თანხას ანაბარზე.

ნდობა



ფიგურა 11 - ანდობთ თუ არა ბანკს ფულს

ანდობთ თუ არა ფულს სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს

კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკითხულთა 78,7% ანდობს საკუთარ ფინანსურ სახსრებს ბანკს და ამავდროულად გამოკითხულთა 15% ანდობს საკუთარ ფულს სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს. ასევე საინტერესოა თუ როგორ ანდობენ რესპოდენტები საკუთარ ფინანსებს ბანკებსა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს საკონტროლო ცვლადების მიხედვით (ჯვარედინი მონაცემები).

ჯვარედინი მონაცემების მიხედვით (ფიგურა 12), 18-33 ასაკობრივი ჯგუფი (82%) სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით უფრო ენდობა ბანკს და ამავდროულად 34-49 (86%) და 50-65 (86%) ასაკობრივი ჯგუფები უფრო მეტად არ ენდობიან სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს. ასევე სქესობრივ ჭრილში, ქალები უფრო მეტად ენდობიან ბანკებს (80%) ვიდრე კაცები (77%), თუმცა სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიმართ კაცები უფრო მეტად დადებითად არიან განწყობილები (19%) ვიდრე ქალები (11%).

უმადლესი განათლების მქონე რესპოდენტების 80% ენდობა ბანკებს და აღმატება პროფესიული, საშუალო და დაწყებითი განათლების მქონე რესპოდენტების შესაბამის მაჩვენებლებს.

გამოკითხულთაგან თბილისის მოსახლეობის 80% და სხვა ქალაქების მოსახლეობის 77% ანდობს საკუთარ სახსრებს ბანკს და პირიქით, თბილისის მოსახლეობის 13% და სხვა ქალაქების მოსახლეობის 19% ანდობს საკუთარ ფულს სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს.


ბანკისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისადმი ნდობა იცვლება რესპოდენტების ოჯახის საშუალო შემოსავლის შუალედების მიხედვით. რაც უფრო იზრდება ოჯახის საშუალო შემოსავალი მით უფრო იზრდება ბანკისადმი ნდობა და პირიქით მცირდება სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ ნდობა.

ნდობა

	ანდობთ თუ არა ბანკს ფულს		ანდობთ თუ არა ფულს სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს	
	დიახ	არა	დიახ	არა
ასაკი				
18-33	82%	18%	17%	83%
34-49	79%	21%	14%	86%
50-65	71%	29%	14%	86%
სქესი				
კაცი	77%	23%	19%	81%
ქალი	80%	20%	11%	89%
განათლების დონე				
დაწყებითი განათლება	67%	33%	67%	33%
პროფესიული განათლება	76%	24%	17%	83%
საშუალო განათლება	77%	23%	19%	81%
უმაღლესი განათლება	80%	20%	13%	87%
ფორმალური განათლების გარეშე	100%	0%	100%	0%
უარი პასუხზე	83%	17%	0%	100%
რეგიონები				
აღმოსავლეთი	78%	22%	14%	86%
დასავლეთი	79%	21%	19%	81%
თბილისი/სხვა ქალაქები				
თბილისი	80%	20%	13%	87%
სხვა ქალაქები	77%	23%	19%	81%
სამუშაო სტატუსი				
საკუთარი ბიზნესი	77%	23%	18%	82%
დაქირავებული მუშაკი	84%	16%	14%	86%
თვითდასაქმებული	79%	21%	18%	82%
უმუშევარი	71%	29%	14%	86%
ოჯახის შემოსავალი				
0-500	69%	31%	14%	86%
501-1000	81%	19%	17%	83%
1001-1500	83%	17%	15%	85%
1501-2000	84%	16%	15%	85%
2001-3000	89%	11%	12%	88%
3001-ზე მეტი	85%	15%	11%	89%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	68%	32%	15%	85%

ფიგურა 12 - ანდობენ თუ არა ფულს რესპოდენტები ბანკს და სხვა საფინანსო ინსტიტუტებს საკონტროლო ცვლადების მიხედვით - ჯვარედინი მონაცემები

ფინანსური ცოდნა




ფიგურა 13 - რესპოდენტების გათვითცნობიერებულობა ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებში

გამოკითხული რესპოდენტების დაახლოებით 37% მიიჩნევს რომ ბალანს კარგად იცის ფინანსების მართვა, 12% მიიჩნევს რომ ბალანს მცირე ცოდნა აქვს და უჭირს ფინანსების მართვა, 2% მიიჩნევს რომ არ იცის ფინანსების მართვა და 48% მიიჩნევს რომ ფლობს გარკვეულ ცოდნას მაგრამ არა სრულყოფილად.


აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჯვარედინი მონაცემების გამოყენებით თითოეული საკონტროლო ცვლადისათვის თითქმის ერთი და იგივე პროცენტული წილი ფლობს გარკვეულ ცოდნას ან ბალანს კარგად იცის ფინანსები. ყოველი საკონტროლო ცვლადისათვის რესპოდენტთა წილი ვინც ფლობს გარკვეულ ცოდნას საშუალოდ აღემატება 40%-ს და რესპოდენტების წილი, რომლებს აზრითაც ისინი ბალანს კარგად ფლობენ ფინანსებს საშუალოდ აღემატება 35%-ს (იხილეთ დანართი - 2).

იმისათვის რომ გაგვეგო თუ რამდენად ერკვევიან რესპოდენტები ფინანსების ცოდნაში მათ დავეუსვით ოთხი კითხვა საპროცენტო სარგებელზე, ინფლაციაზე, რისკსა და საპროცენტო ხარჯზე.




ფიგურა 14 - საპროცენტო სარგებელთან დაკავშირებული კითხვა

აღნიშნულ კითხვაზე რესპოდენტების 36,9%-მა გასცა სწორად პასუხი, 24,3%-მა არ იცოდა ან გაუჭირდა პასუხის გაცემა და 38,8%-მა არასწორად გასცა პასუხი.




ფიგურა 15 - ინფლაციასთან დაკავშირებული კითხვა

ინფლაციასთან დაკავშირებულ კითხვას გამოკითხულთა 59,1%-მა გასცა სწორად პასუხი, 26%-მა არ იცოდა ან გაუჭირდა პასუხის გაცემა და 14,6%-მა არასწორად გასცა პასუხი.




ფიგურა 16 - რისკთან დაკავშირებული კითხვა

რისკთან დაკავშირებულ კითხვას რესპოდენტების 42,3%-მა გასცა სწორად პასუხი, 15,2%-მა არ იცოდა ან გაუჭირდა პასუხის გაცემა და 42,5%-მა არასწორად გასცა პასუხი.



ფიგურა 17 - საპროცენტო ხარჯთან დაკავშირებული კითხვა

საპროცენტო ხარჯთან დაკავშირებულ კითხვას გამოკითხულთა 36,4%-მა სწორად გასცა პასუხი, 31%-მა არ იცოდა ან გაუჭირდა პასუხის გაცემა და 32,6%-მა არასწორად გასცა პასუხი.



ფიგურა 18 - სწორად გაცემული პასუხების რაოდენობა

რესპოდენტების მხოლოდ 5,8%-მა გაცა ოთხივე კითხვას სწორი პასუხი, 19,2%-მა გაცა ზუსტად სამ კითხვას სწორი პასუხი, 32,6%-მა გაცა ზუსტად ორ კითხვას სწორი პასუხი, 28,7%-მა გაცა ზუსტად 1 კითხვას სწორი პასუხი და 13,7%-მა ვერც ერთ კითხვას ვერ გაცა სწორად პასუხი.

რესპოდენტები რომლებმაც ოთხივე კითხვას სწორად გაცეს პასუხი, მათგან 45% ქალია, 81% თბილისიდან არის, 78%-ს უმაღლესი განათლება აქვს, 60% დაქორავებული მუშაკია და 28%-ის ოჯახის საშუალო შემოსავალი მერყეობს 501-1000 ლარიან ინტერვალში.

ფინანსური ცოდნა

	საპროცენტო სარგებელი		ინფლაცია		რისკი		საპროცენტო ხარჯი	
	სწორი პასუხი არ ვიცი	სწორი პასუხი არ ვიცი	სწორი პასუხი არ ვიცი	სწორი პასუხი არ ვიცი	სწორი პასუხი არ ვიცი	სწორი პასუხი არ ვიცი	სწორი პასუხი არ ვიცი	
	ასაკი							
18-33	37%	23%	55%	27%	45%	10%	35%	30%
34-49	38%	26%	58%	28%	43%	16%	37%	29%
50-65	36%	24%	68%	23%	37%	25%	37%	36%
	სქესი							
კაცი	39%	21%	63%	21%	46%	14%	38%	26%
ქალი	35%	27%	56%	27%	39%	16%	35%	35%
	განათლების დონე							
დაწყებითი განათლება	0%	67%	0%	100%	0%	33%	33%	33%
პროფესიული განათლება	41%	24%	59%	23%	32%	13%	39%	27%
საშუალო განათლება	40%	30%	46%	33%	37%	14%	30%	32%
უმაღლესი განათლება	35%	22%	64%	24%	46%	16%	38%	31%
ფორმალური განათლების გარეშე უარი პასუხზე	0%	0%	100%	0%	100%	0%	100%	0%
	რეგიონები							
აღმოსავლეთი	36%	23%	51%	32%	45%	16%	29%	33%
დასავლეთი	38%	29%	62%	24%	36%	12%	39%	30%
	თბილისი/სხვა ქალაქები							
თბილისი	24%	22%	62%	24%	47%	16%	38%	29%
სხვა ქალაქები	40%	29%	54%	32%	34%	14%	33%	34%
	სამუშაო სტატუსი							
საკუთარი ბიზნესი	41%	23%	60%	23%	40%	14%	39%	30%
დაქირავებული მუშაკი	36%	28%	62%	24%	49%	14%	38%	27%
თვითდასაქმებული	39%	26%	67%	18%	38%	10%	45%	23%
უმუშევარი	41%	24%	54%	32%	35%	20%	31%	39%
	ოჯახის შემოსავალი							
0-500	31%	33%	54%	32%	35%	17%	31%	37%
501-1000	40%	24%	58%	27%	47%	13%	36%	30%
1001-1500	38%	21%	62%	23%	47%	12%	39%	22%
1501-2000	36%	18%	62%	20%	37%	14%	41%	27%
2001-3000	50%	15%	65%	19%	58%	11%	38%	23%
3001-ზე მეტი	50%	20%	72%	20%	46%	20%	41%	26%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	23%	32%	57%	33%	29%	27%	37%	53%

ფიგურა 19 - სწორად გაცემული პასუხებისა და არ ვიცი/მიჭირს პასუხების გვარედიანი მონაცემები საკონტროლო ცვლადების მიხედვით

ჯვარედინულ მონაცემებზე დაყრდნობით, 34-49 (58% სწორი პასუხი) და 50-65 (68% სწორი პასუხი) ასაკობრივი ინტერვალები უფრო მეტად გათვითცნობიერებულები არიან ინფლაციასთან დაკავშირებულ საკითხებში ვიდრე 18-33 ასაკობრივი ჯგუფი. (55% სწორი პასუხი). რაც შეეხება რისკს 18-30 ასაკობრივი ჯგუფი (45% სწორი პასუხი) უფრო მეტად გარკვეულია ვიდრე 34-49 (43% სწორი პასუხი) და 50-65 (37% სწორი პასუხი) ასაკობრივი ჯგუფები.

სქესის მიხედვით დაყოფის შემდეგ აღმოჩნდა რომ მამაკაცებმა პროცენტულად უფრო მეტი სწორი პასუხი გასცეს ცალ-ცალკე თითოეულ შეკითხვას.

საპროცენტო სარგებელთან დაკავშირებულ კითხვას პროცენტულად ყველაზე მეტი პასუხი გასცა პროფესიული განათლების მქონე რესპოდენტებმა (41% სწორი პასუხი). ინფლაციასთან და რისკთან დაკავშირებულ კითხვებს ყველაზე მეტი სწორი პასუხი გასცეს უმაღლესი განათლების მქონე რესპოდენტება (ინფლაცია - 64% სწორი პასუხი და რისკი - 37% სწორი პასუხი).

სხვა ქალაქების მოსახლე რესპოდენტებმა უფრო მეტი სწორი პასუხი (40%) გასცეს საპროცენტო სარგებელთან დაკავშირებულ კითხვას ვიდრე თბილისის მოსახლე რესპოდენტებმა (24%). სხვა ყველა დანარჩენ კითხვებში სწორი პასუხების ოდენობით თბილისის მოსახლე რესპოდენტები აჭარბებენ სხვა ქალაქების მოსახლე რესპოდენტებს.

სამუშაო სტატუსის მიხედვით დაყოფის შედეგად აღმოჩნდა რომ თვითდასაქმებულები საპროცენტო სარგებელთან, ინფლაციასთან და საპროცენტო ხარჯთან დაკავშირებულ საკითხებში უფრო გარკვეულები არიან ვიდრე საკუთარი ბიზნესის მქონეები, დაქირავებული მუშაკები და უმუშევრები. ასევე რისკთან დაკავშირებულ კითხვაზე სწორი პასუხების პროცენტულად ყველაზე დიდი მაჩვენებელი (49% სწორი პასუხი) აქვთ დაქირავებულ მუშაკებს.

საპროცენტო სარგებელთან დაკავშირებულ კითხვაზე სწორი პასუხების პროცენტული რაოდენობით ლიდერობენ შემოსავლის 2000-3000 (50% სწორი პასუხი) და 3000 ლარზე მეტი (50% სწორი პასუხი) ინტერვალის მქონე რესპოდენტები. ინფლაციაზე დასმულ კითხვაზე პროცენტულად ყველაზე მეტი სწორი პასუხი (72% სწორი პასუხი) გასცეს 3000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე რესპოდენტებმა. რაც შეეხება რისკს, ყველაზე მეტი სწორი პასუხი (58% სწორი პასუხი) გასცეს რესპოდენტებმა რომელთა ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი მერყეობს 1501-2000 ლარიან ინტერვალში. საპროცენტო ხარჯთან დაკავშირებულ კითხვაზე საშუალოდ ყველა შემოსავლის ინტერვალისთვის სწორი პასუხების რაოდენობა პროცენტულად თითქმის ერთნაირია.

ფინანსური ცოდნის მაჩვენებელი

	დაბალი	საშუალო	მაღალი
ასაკი			
18-33	43%	52%	5%
34-49	43%	51%	6%
50-65	39%	54%	7%
სქესი			
კაცი	39%	54%	7%
ქალი	45%	50%	5%
განათლების დონე			
დაწყებითი განათლება	100%	0%	0%
პროფესიული განათლება	41%	53%	6%
საშუალო განათლება	50%	47%	3%
უმაღლესი განათლება	40%	53%	7%
ფორმალური განათლების გარეშე	0%	100%	0%
უარი პასუხზე	33%	67%	0%
თბილისი/სხვა ქალაქები			
თბილისი	41%	52%	7%
სხვა ქალაქები	46%	51%	3%
სამუშაო სტატუსი			
დაქირავებული მუშაკი	36%	57%	7%
თვითდასაქმებული	39%	55%	6%
საკუთარი ბიზნესი	43%	47%	10%
უმუშევარი	51%	46%	3%
ოჯახის შემოსავალი			
0-500	50%	47%	3%
501-1000	40%	54%	6%
1001-1500	38%	56%	6%
1501-2000	42%	53%	5%
2001-3000	32%	59%	8%
3001-ზე მეტი	37%	46%	17%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	52%	43%	5%

ფიგურა 20 - ფინანსური ცოდნის მაჩვენებლის გვერდინული მონაცემები საკონტროლო ცვლადებთან მიმართებაში

ფინანსური ცოდნის მაჩვენებელი

იმისათვის, რომ რესპოდენტები დაგვეყო ფინანსების ცოდნის მაჩვენებლის მიხედვით, რესპოდენტები დავეყავით ფინანსების ცოდნის დაბალ, საშუალო და მაღალ კატეგორიებად. რესპოდენტები, რომლებმაც ოთხივე კითხვას სწორი პასუხი გასცეს მოხვდნენ მაღალ კატეგორიაში, მათ ვინც ორ ან სამ კითხვას გასცეს სწორი პასუხი მოხვდნენ საშუალო კატეგორიაში და რესპოდენტების ნაწილი ვინც მხოლოდ ერთ კითხვას გასცა სწორი პასუხი ან საერთოდ ვერ გასცა სწორი პასუხი მოხვდნენ ფინანსების ცოდნის დაბალ კატეგორიაში.

ჯვარედინი მონაცემების მიხედვით (ფიგურა 20), მაღალ კატეგორიაში მოხვდა 58 საშუალოში 518 და დაბალ კატეგორიაში 424 რესპოდენტი. ჯვარედინი მონაცემების მიხედვით, ყველა ასაკობრივი ინტერვალისათვის საშუალოდ 42% მოხვდა ფინანსების ცოდნის დაბალ კატეგორიაში და ამავდროულად საშუალოდ 52% მოხვდა ფინანსების ცოდნის საშუალო კატეგორიაში (ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის საშუალოდ 6%-ს აქვს ფინანსების ცოდნის მაღალი მაჩვენებელი).

ფინანსური ცოდნის მაჩვენებლების მიხედვით კაცების 39% და ქალების 45% მოხვდა დაბალ კატეგორიაში, კაცების 54% და ქალების 50% მოხვდა საშუალო კატეგორიაში და კაცების 7% და ქალების 5% მოხვდა მაღალ კატეგორიაში.

რესპოდენტების უმეტესობას (639 რესპოდენტი) აქვს უმაღლესი განათლება. მათგან 40% მოხვდა ფინანსების ცოდნის დაბალ, 53% საშუალო და 7% მაღალ კატეგორიაში.

რესპოდენტების უმეტესობა (651 რესპოდენტი) არის თბილისის მოსახლე და მათ 52%-ს ახასიათებს ფინანსების ცოდნის საშუალო მაჩვენებელი და 7%-ს მაღალი მაჩვენებელი. ამავდროულად, სხვა ქალაქების მოსახლეთა 46% მოხვდა ფინანსების ცოდნის დაბალ კატეგორიაში და 3% მაღალ კატეგორიაში.

სამუშაო სტატუსის მიხედვით, დაქირავებული მუშაკების (490 რესპოდენტი) 57% მოხვდა საშუალო და 7% მაღალ კატეგორიაში. უმუშევრების (304 რესპოდენტი), 51% მოხვდა დაბალ და 3% მაღალ კატეგორიაში. რესპოდენტები რომელთაც საკუთარი ბიზნესი აქვთ (144 რესპოდენტი), 43% მოხვდა ფინანსების ცოდნის დაბალ და 10% მაღალ კატეგორიაში.

საშუალოდ შემოსავლის თითქმის ყველა ინტერვალისათვის ფინანსების ცოდნის მაღალ კატეგორიაში საშუალოდ მოხვდა 6%. გამონაკლის წარმოადგენს რესპოდენტები 3001-ზე მეტი შემოსავლით, რომელთა 10% მოხვდა ფინანსების ცოდნის მაღალ კატეგორიაში.

ნდობა და ფინანსური ცოდნის მაჩვენებელი

	დაბალი	საშუალო	მაღალი
გთხოვთ, მითხრათ ანდობთ თუ არა ბანკს თქვენს ფულს			
არა	24%	20%	16%
დიახ	76%	80%	84%
გთხოვთ, მითხრათ, ანდობთ თუ არა თქვენს ფულს სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს			
არა	85%	85%	84%
დიახ	15%	15%	16%

ფიგურა 21 - ნდობისა და ფინანსური ცოდნის მაჩვენებლის ჯვარედინი მონაცემები

ჯვარედინ მონაცემებზე დაყრდნობით (ფიგურა 21), მათგან ვინც მოხვდა ფინანსური ცოდნის დაბალ კატეგორიაში, 76% ანდობს ბანკს საკუთა ფინანსურ სახსრებს, საშუალო კატეგორიაში მყოფთაგან 80% ანდობს ბანკს ფულს და მაღალი კატეგორიიდან კი 84%.

რესპოდენტები რომლებიც მოხვდნენ ფინანსური ცოდნის დაბალ კატეგორიაში 85% არ ანდობს ფინანსურ სახსრებს სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს, საშუალო კატეგორიაში მყოფთაგან 85% და მაღალ კატეგორიაში კი 84%.

დამოკიდებულება საკუთარი დანახარჯების მიმართ და ფინანსური ცოდნა

	დაბალი	საშუალო	მაღალი
დამოკიდებულება საკუთარი დანახარჯების მიმართ			
არ ვიცი/უარი პასუხზე	2%	1%	0%
ნაწილობრივ აკონტროლებ ჩემს დანახარჯებს	29%	36%	33%
საერთოდ არ ვანგარიშობ რამდენს ვხარჯავ	16%	12%	12%
საკმაოდ დეტალურად ვაკონტროლებ ჩემს დანახარჯებს ჩანაწერების გარეშე	44%	44%	43%
ყველაფერს ვიწერ, რათა ჩემი დანახარჯები გავაკონტროლო	9%	7%	12%

ფიგურა 22 - ფინანსური ცოდნის მაჩვენებლისა და საკუთარ დანახარჯებთან დამოკიდებულების ჯვარედინი მონაცემები

ფიგურა 22 - ის მიხედვით, რესპოდენტები, რომლებიც მოხვდნენ ფინანსური ცოდნის დაბალ კატეგორიაში, მათგან 44% საკმაოდ დეტალურად აკონტროლებს დანახარჯებს ჩანაწერების გარეშე, 29% ნაწილობრივ ხოლო 16% საერთოდ არ ანგარიშობს რანმდენს ხარჯავს.

რესპოდენტები, რომლებიც მოხვდნენ ფინანსური ცოდნის საშუალო კატეგორიაში, მათგან 36% ნაწილობრივ აკონტროლებს დანახარჯებს, 44% საკმაოდ დეტალურად აკონტროლებს ხარჯებს ჩანაწერების გარეშე და 12% საერთოდ არ აკონტროლებს საკუთარ დანახარჯებს.

რესპოდენტები, რომლებიც მოხვდნენ ფინანსური ცოდნის მაღალ კატეგორიაში, მათგან 33% ნაწილობრივ აკონტროლებს ხარჯებს, 12% საერთოდ არ აკონტროლებს დანახარჯებს და 43% საკმაოდ დეტალურად აკონტროლებს დანახარჯებს ჩანაწერების გარეშე.

ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებში გათვითცნობიერებულობა

	დაბალი	საშუალო	მაღალი
ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებში გათვითცნობიერებულობა			
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	70%	26%	4%
ვფლობ გარკვეულ ცოდნას მაგრამ არა სრულყოფილად	43%	51%	6%
მაქვს ძალიან მცირე ცოდნა, მიჭირს ფინანსების მართვა	68%	30%	2%
ძალიან კარგად ვიცი ფინანსების მართვა	32%	61%	7%

ფიგურა 23 - ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებში გათვითცნობიერებულობისა და ფინანსების ცოდნის მაჩვენებლის ჯვარედინი მონაცემები

ჯვარედინ მონაცემებზე დაყრდნობით (ფიგურა 23), რესპოდენტები რომლებმაც განაცხადეს რომ ფლობდნენ გარკვეულ ცოდნას მაგრამ არა სრულყოფილად (485 რესპოდენტი), მათი 43% მოხვდა ფინანსების ცოდნის დაბალ, 51% საშუალო და 6% მაღალ კატეგორიაში. რესპოდენტები რომლებმაც განაცხადეს რომ ძალიან კარგად იციან ფინანსების მართვა (368 რესპოდენტი), მათი 32% მოხვდა ფინანსური ფონდის დაბალ, 61% საშუალო და 7% მაღალ კატეგორიაში. მათ ვინც განაცხადეს რომ ქონდათ ძალიან მცირე ცოდნა და უჭირდათ ფინანსების მართვა, 68% მოხვდა ფინანსური ცოდნის დაბალ, 30% საშუალო და 2% მაღალ კატეგორიაში.

დანართი - 1

შემაჯამებელი სტატისტიკა

აღნიშნული დაფა მოიცავს ჩვენს მიერ მოგროვებული მონაცემების მოკლე შემაჯამებელ სტატისტიკას.

	პროცენტი	საშუალო	მინიმუმი	მაქსიმუმი
სქესი				
კაცი	45%			
ქალი	55%			
ქალაქი				
თბილისი	65%			
ქუთაისი	11%			
ბათუმი	7%			
რუსთავი	7%			
ზუგდიდი	4%			
გორი	3%			
ფოთი	3%			
ასაკი		38,274	18	65
15 წლამდე ბავშვები ოჯახში		1	0	7
15 წელს ზევით ადამიანები ოჯახში		3	0	8
განათლების დონე				
უმაღლესი განათლება	63,90%			
პროფესიული განათლება	10,10%			
საშუალო განათლება	25,00%			
დაწყებითი განათლება	0,30%			
ფორმალური განათლების გარეშე	0,10%			
უარი პასუხზე	0,60%			
დასაქმების სტატუსი				
საკუთარი ბიზნესი	14%			
დაქირავებული მუშაკი	49%			
თვითდასაქმებული	8%			
უმუშევარი	30%			
ოჯახის შემოსავალი				
0-500	23%			
501-1000	28%			
1001-1500	18%			
1501-2000	12%			
2001-3000	7%			
3001-ზე მეტი	5%			
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	8%			

დანართი - 2

ფინანსების მართვა

	არ ვიცი/მიჭირს პასუხი	ვფლობ გარკვეულ ცოდნას	მაქვს ძალიან მცირე ცოდნა	ძალიან კარგად ვიცი
ასაკი				
18-33	2%	57%	11%	30%
34-49	1%	44%	13%	42%
50-65	5%	40%	14%	41%
სქესი				
კაცი	2%	47%	12%	38,89%
ქალი	3%	50%	12%	35,09%
განათლების დონე				
დაწყებითი განათლება	0%	33%	67%	0%
პროფესიული განათლება	2%	47%	12%	40%
საშუალო განათლება	5%	53%	14%	27%
უმაღლესი განათლება	1%	47%	0%	40%
ფორმალური განათლების გარეშე	0%	100%	0%	0%
უარი პასუხზე	0%	33%	12%	67%
რეგიონები				
აღმოსავლეთი	2%	49%	13%	36%
დასავლეთი	3%	48%	11%	38%
თბილისი/სხვა ქალაქები				
თბილისი	2%	49%	13%	36%
სხვა ქალაქები	3%	47%	11%	38%
სამუშაო სტატუსი				
საკუთარი ბიზნესი	2%	46%	6%	46%
დაქირავებული მუშაკი	1%	47%	12%	40%
თვითდასაქმებული	5%	50%	12%	33%
უმუშევარი	3%	51%	16%	30%
ოჯახის შემოსავალი				
0-500	4%	47%	15%	34%
501-1000	3%	51%	12%	34%
1001-1500	2%	55%	13%	30%
1501-2000	0%	45%	12%	43%
2001-3000	0%	39%	9%	51%
3001-ზე მეტი	2%	52%	7%	39%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი	3%	38%	14%	46%